ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1017479

ნომერი: AR1179354

თარიღი : 22.11.2013

გაცემის თარიღი : 27.11.2013

გაცნობის თარიღი : 28.11.2013

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აწყური , N 70, N70ა, N72ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზ გეთიაშვილი პ/ნ 01011003790
- აწყურის ქუჩა 23

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია აივნის ამოშენება-შემინვა რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ-ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის განხილვის შედეგად გაცნობებთ, რომ სამსახურს წარმოდგენილი სახით აივნების მთლიანი ფართის ამოშენება მიუღებლად მიაჩნია, თანაც თავისი მახასიათებლებით არ განეკუთვნება I კლასის მახასიათებლების ობიექტს და იგი თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება ისეთი კლასის რეკონსტრუქციას, რომელიც საჭიროებს არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას. “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 37-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა ორ სტადიად. თქვენს შემთხვევაში უნდა დამუშავდეს არქიტექტურული პროექტი და გასავლელი იქნება II (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) და III (მშენებლობის ნებართვის გაცემა) სტადიები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით უნდა აირჩიოთ შემდეგი სახის ნომენკლატურა: "მშენებლობის ნებართვა" - "საცხოვრებელი ობიექტები" და ა. შ. და მოცემული ველები შეავსოთ შესაბამისად.

ასევე გაითვალისწინეთ, რომ არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიამდე, შესაძლებელია თქვენი მოთხოვნა დააყენოთ სამსახურის წინაშე ესკიზის წინასწარი შეთანხმების კუთხით და აირჩიოთ შემდეგი ნომენკლატურა – მშენებლობის ნებართვა– საცხოვრებელი ობიექტები –მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი–ქმედებაში–მიუთითოთ რეკონსტრუქცია , ხოლო სტადიებში მიუთითოთ– „ესკიზის წინასწარი შეთანხმება“ და წარმოსადგენი დოკუმენტაციის სიის მიხედვით შეავსოთ მოცემული ველები, რის შემდგომაც სამსახურის მიერ საკითხის დადებითად შეფასების შემთხვევაში თქვენი საკითხის დაყენება შესაძლებელი იქნება პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის კუთხით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.